№ 10 28 იანვარი, ოთხშაბათი 1866—1876 28 იანვარი, ოთხშაბათი № 10

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით. ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა 1876 წლისა

ამ 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს 1875 წელს გამოდიოდა.

რედაქცია იცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

ხელის-მოწერა მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი—„დროების“ რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე. ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба.“*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — ივანე მესხთან და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, **ფოთში**—ელ. ს. ბაბალოვთან, **ახალ სენაკს** — ნიკ. დგებუაძესთან, **ზუგდიდს**—თ. ტარ. ალექ. დადიანთან, **ოზურგეთს**—თ. ანტ. ნაკაშიძესთან, **ყვირილაში**—მ. დავ. ღამბაშიძესთან, **გორს**—ვასილ დეკანოზოვთან, **სიღნაღს**—იოსებ სულხანოვთან და **თელავს**—თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ფასი—გაგზავნით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	— “
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა.	2	და 50
ერთის თვისა	1	— „

ამავე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ 1876 წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი.

განცხადება

თფილისის ქალაქის რჩევა (უპრავა) საყოველთაოთ აცხადებს, რომ, რადგანაც ქალაქის ხაზინაში დასაფასებელი ხარჯი (ოცენოჩნი სბორ) თავის დროზე არ შემოდის, ამის გამო შედგენილია სია ყველა იმ მცხოვრებთა ქონებისა, რომელზედაც ეს გადასახადი ითვლება და გაგზავნილია უფ. თფილისის უფროს პოლიციმეისტერთან, რათა „ქალაქის წესდების“ 131 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად მოიქცეს. ამ კანონის ძალით, დანიშნულს დროზე გადაუხდელი ქალაქის ხარჯი უნდა შეივსოს იმ ქონების შემოსავლის მოკვეთით, რომელსაც ეს ხარჯი აქვს; თუ ეს არ იქმარებს, მაშინ მოძრავი ქონება უნდა გაისყიდოს და თუ, ამ ხარჯის გადასახდელად, არც ეს იქნება საქმარისი, მაშინ ის უძრავი ქონებაც გაისყიდება, რომელზედაც ქალაქის ხარჯი ითვლება, და გაისყიდება იმ წესით, როგორც კანონი ამგვარი მამულების ხაზინის სასარგებლოთ გასყიდვას მოითხოვს.

ამასთანავე რჩევა წინათვე აცნობებს იმ პირთ, რომელთ ქონებაზე უფრო მოძველებული გადაუხდელი ხარჯი ითვლება, რომ, თუ ამ ხარჯის დროზე შემოტანაზე არ იზრუნავენ, იმათი სახელი ყველა ადგილობრივ გაზეთებში იქნება გამოცხადებული

რჩევის მწერი ი. ფონდოევი

საქართველო

ერთდღიური აღწერა თფილისისა

ინსტრუქცია აღწერის წესის წარმოებისათვის

მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ კაიკასიის ნამეს ტნიკმა ბრძანების გამოცემა ინება ქ. თფილისში ერთ დღიური სტატისტიკური აღწერის მოხდენისა, რომელსაც აქვს მიზნად: ცნობაში მოიყვანოს მცხოვრებთა რიცხვი, იმათი შედგენილობა და განაწილება ქალაქის სხვა და სხვა უბნებში; სხვა რამ ფინანსიური მიზანა ამ აღწერას მხედველობაში არა აქვს.

ამ საქმის წასაყვანად შედგენილი გამგებელი კომიტეტი საჭიროდ ხედავს, რომ საქვეყნოდ გამოაცხადოს კვარტირის ფურცლების კითხვითი მუხლები და იმითი ახსნა, რათა წინათვე გააცნოს ქალაქის მცხოვრებლებს ამ ერთ დღიური აღწერის წესები.

ყოველი სახლის მდგმურები უეჭველად კვარტირებში უნდა დაითვალონ.

ამის გამო ყოველი კვარტირის პატრონი წინათვე მიიღებს ბლანკის ფურცელს (ყოველ კვარტირისთვის ცალკე). ორი დღის წინათ აღწერის მოხდენამდის ეს ფურცლები დაურიგდება კვარტირის პატრონებს, რომელნიც ვალდებულნი არიან-ყველა იქ მოხსენებულ კითხვაზე პასუხი ჩასწერონ; აღწერის დროს ეს ფურცელი იმავე მოანგარიშეს უნდა ჩაბარდეს, ვისგანაც კვარტირის პატრონმა მიიღო, და იმან ხელ-ახლად თვითონ თვითონ უნდა შეამოწმოს *)

ამ კვარტირის ფურცლებში შემდეგი მუხლებია მოხსენებული:

ფურცელი № სახლის, № კვარტირის ** მდგმურების აღსაწერად ქუჩაზე:

ა) ცნობანი კვარტირაზედ:

1. რომელს ეტაჟაშია კვარტირა?

2. რამდენი ოთახია კვარტირაში? (სამზარეულო და შესავალი ოთახი ოთახებათ ითვლება; კარიდორები და საკუჭნაოები კი ანგარიშში არ ჩაიგდება).

3. ერთი ოჯახი დგას კვარტირაში, თუ მდგმურებიც დგანან.

4. მარტო საცხოვრებელად არის კვარტირა თუ იმაში სხვა რამ საეკონომიო, სასწაველელი ან ქარხანა არის გამართული? (მაგ. უფასო შკოლა, პანსიონი კანტორა და რედაქცია ჟურნალისა, ცეცხლისაგან საზღვეველ სზოგადოების აგენტმა, ნოტარიუსის კანტორა, „მომრიგებელი“ მოსამართლის კამერა და სხვა ამგვარები).

5. რამდენად არას კვარტირა დაქირაებული?

ბ) ცნობანი პირზედ:

მეორე გვერდი კვარტირის ფურცლის II მუხლისაგან შესდგება:

I. რამდენი სულია?

II. სახელი და გვარი (ახალ დაბადებულები ასე ჩაინიშნებიან: ქალი, ვაჟი; თუ ბრმაა ანუ მუნჯი, ისაც უნდა ჩაიწეროს).

III. რამდენი წლისაა?

IV. ოლიანია, თუ უოლო ანუ ქვრივი? ქალია, თუ ქრმიანი ანუ ქვრივი? გაშორებული თუ არის ვინმე ქმართან ან ოლთაც,—ისიც უნდა ჩაინიშნოს.

V. რა სარწმუნოებისაა?

VI რომელი წოდებისაა?

VII რა ხელობაზე ანუ საქმეზე ადგია?

VIII. ნაციონალობა. (ქართველი, სომეხი, რუსი თუ ვინ?)

IX. სამშობლო ენა.

X. იცის თუ არა კითხვა სამშობლო ან სხვა რომელსამე ენაზედ?

XI. ქალაქის მუდამ მცხოვრებია, თუ საიდამვე დროებით ჩამოსულა? საიდამ?

(შემდეგი იქნება)

*) თუ კვარტირის პატრონმა წერა არ იცის, მოანგარიშე იკისრებს იმის ვალდებულებას.

**) რადგანაც თფილისის კვარტირებს ნომრები არა აქვს, მოანგარიშე იმ კვარტირიდამ დაიწყებს აღწერას, რომელშიაც პირველად შევა.

დღიური

ამ ორშაბათის სხდომაზე ჩვენი ქალაქის გამგეობაში იყო სხვათა შორის მოლაპარაკება თეატრის თაობაზე. ამ საგნის თაობაზე დანიშნულმა კომისიამ გამგეობას წარუდგინა უფ. თამამშევის წინადადება, რომ ის თანახმა არის ან 150,000 მანეთი მისცეს ქალაქს, იმის ქარავასლის განთავისუფლებისათვის, და ან, ქალაქის ჩვენებით, ადგილი იყიდის თეატრისთვის და ამას გარდა 80,000 მანეთი მისცემს თვითონ თეატრის ასაშენებლად.

გამგეობა დათანხმდა უფ. თამამშევის უკანასკნელს წინადადებაზე.

ამას გარდა ამავე სხდომაზე გამგეობამ გადასწყვიტა, რომ იჩიელოს საქალაქო საქმეების პრისუტსტვიის იმ განჩინებაზე, რომლის ძალითაც ქალაქმა, მიხაილოვის შოსსეს რემონტისათვის 2,770 მანეთი უნდა გადიხადოს.

* * *

ხვალ, ხუთშაბათ საღამოს, მუზიკალური საზოგადოების ზალაში იქნება ქართული სალიტერატურო საღამო, რომელშიაც ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, თ. ბებურიშვილი, დ. მრისთავი, პეტ. უმიკაშვილი, ნ. ახვლედიანი და არ. ჭუთათელაძე მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც ჰხედავთ, ისეთი პირები ღებენ მონაწილეობას, რომ საღამო ძალიან საინტერესო და ცოცხალი იქნება.

* * *

ახალციხიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 23-ს იქაურს საბხედრო ძლუბში, ქველ-მომქმედი მიზნის სასარგებლოდ, ქართულს და რუსულს ენაზე წარმოუდგენიათ თეატრის მოყვარეთა; ქართულს ენაზე „თილისმის ხანი“ უთამაშნიათ. კორრესპონდენტი ძალიან აქებს ამ წარმოდგენას რომლიდამაც, ახალციხის უფასო საქალებო შკოლის სასარგებლოდ ცამეტი თუმანი (130 მან.) დარჩაო.

* * *

ახლად გამოსული ბაქოს გაზეთი —„ბაქოს ცნობანი“ გვატყობინებს, რომ ამ ქალაქში ახალი ქალაქის გამგეობის წესი უნდა შემოიღონო და ამის თაობაზე ბაქოს ღუბერნატორი თფილისში არის გამოწვეულიო.

ესვე გაზეთი გვაცნობებს, რომ ბაქოს ღუბერნიის ენდროს მომყვანნი დეპუტაციას აგზავნიან თფილისში, უმაღლესს მთავრობას უნდა სთხოვონო, რომ რამე შემწეობა აღმოუჩინოს იმათ მთავრობამ იმ გაჭირებულს მდგომარეობაში, რომელშიაც ალიზარინის საღებავის ამოჩენამ ჩააგდო ისინი.

* * *

სვანეთიდამ გვწერენ, რომ შარშან იქ ძალიან ცუდი მოსავალი იყოო და ამის გამო წელს შიმშილობას მოელიანო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ თავისუფალ სვანეთში ამჟამად ორი ალაბი სიმაღლე თოვლი დევსო და გზები სოფლებსა და ჭუთაისს შუა თითქმის სრულიად შეიკრაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

მოზდოკი, 23 იანვარს

ამისთანა საშინელ სიცივეებში და ყინვებში ჩვენი ქალაქი იწყობს პატარა ჩუჩუნს. მიზეზი ამისი—ქალაქის ახალი დებულების შემოღებაა.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, ვითომც ჩვენი ქალაქიც თქვენ ქალაქსავით მიეგებებოდეს ყველას, რაც კი შეეხება იმის შინაურ მმართველობას და განწყობილებას. თუ მანდ, საცა უფრო მომზადებული და განათლებული საზოგადოება უნდა იყოს, საცა უფრო უნდა ესმოდესთ ეს პატარა ნაწილი „თვით მმართველობისა“ და იმისი მნიშვნელობა ქალაქის ეკონომიური ცხოვრებისათვის, თუ მანდ მომეტებულს არ ესმის ამ დებულების მნიშვნელობა,—აქ ხო რალა თქმა უნდა.

ვიდრე ამ ახალი წყობილების შემოღებას შეუდგებოდა ძველი ქალაქის გამგეობა, ვიდრე ხმოვანთ ამორჩევა, მას დავალებული ჰქონდა, რომ შეეტყო ამომრჩეველების რიცხვი. ამიტომ დანიშნეს რამდენიმე პირი, რომლებიც კარ-და-კარ დადიოდნენ, სწერდენ ქონებას და მის მფლობელის სახელ-გვარს და უფლებას. ამ პირების საქმე ძლიერ ძნელი გამოჩნდა. უწინდელ გამგეობას ეს საქმე იქით მიგდებული ჰქონდა, არ იცოდა რიგიანათ, ვის რა-ერთი უძრავი ქონება აქვს, რა ხარჯს აძლევდა და სხ. ქალაქი იყო ნაწილებათ დაყოფილი და ეს ნაწილები ჰქონდა მინდობილი სტაროსტებს, რომლებიც ბევრს ხელს აფარებდენ...

გარდა ამისა, ამათ უჭირდებოდა შეტყობა, თუ ვის ეკუთვნის რომელიმე სახლი და ადგილი ქალაქში: ერთი უჩვენებს ერთზე, მეორე მეორეზე და სხ., თითქო სურსთ, რომ ნამდვილი პატრონი დაიმალოსო.

აქვე შევნიშნავ, რომ ეს პირები ბევრს სამწუხაროს და გულსაკლავს ამბობდნენ აქაური ღარიბების შინაურ ცხოვრებაზედ და იმათ პატრიარხალურ ზნე-ჩვეულებაებზედ. მომეტებულ ნაწილს არა-თუ ქალაქური სოფლურიც არა ებადებოდა რა. მინგრევე-მონგრეული, ცივი და საშინლათ ნოტიო სახლები, დახეული და დაჭუჭყიანებული ტანისამოსი, დაყვითლებული და დასნეულებული პირისსახეები, მომეტებულათ ბავშვებისა,—ეს ნიშნები იმათ თითქმის ყველგან ხვდებოდნენ. როდესაც ისინი მიახლოვდებოდნენ რომელსამე სახლს, ან მოისურვებდნენ მასში შესვლას, ყველა იქით-აქეთ თურმე მირბიოდა და იმათ ემალებოდა.

როგორც იყო, ამათ შეასრულეს მინდობილი საქმე და წარუდგინეს ქალაქის გამგეობას, რომელიც ახლა დიდს ფაცა-ფუცში და მუშაობაშია; ადგენენ აღმომრჩეველების სიებს, ჰყოფენ მათ, ესე იგი, აღმომრჩეველებს სამ კატეგორიათ. სრული აღმომრჩეველების რიცხვი მიახწევს 600-მდის, ხმოვანნი იქნებიან 42; აღმორჩევა მარტზე ადრე, მგონია, არ დაიწყოს.

თუმცა ხმოვანთ ამორჩევაში საჭიროა, რომ ამორჩიენენ ის პირნი, რომელნიც უფრო მომეტებულათ იზრუნებენ ქალაქის კეთილდღეობაზედ, მაგ. ქალაქის თავი ყველაზედ მაღლა უნდა იდგეს როგორც საზოგადო საქმისათვის სიყვარულით, აგრეთვე გამოცდილებით და საქმის ცოდნით;—საუბედუროთ, ეს ქალაქი ამისთანა პირს ვერა პოულობს და ვერც იპოვის თავის სამფლობელოში, თუნდა სანთლითაც ეძებოს; [და ამიტომ იქნება ეს ამორჩევა შეხვდეს ისევ იმისთანა პირს, რომელმაც ვაი-ვაგლახით იცის წერა-კითხვა, არ ესმის ახალი დებულება და მასთან შეკავშირებული კითხვები, არ ესმის ადგილობრივი პირობანი და ქალაქის საჭიროებანი, ფიქრობს მარტო თავის პიროვნებაზედ და თავის ინტერესებზედ. ამ პირობებს ქვეშ ამორჩეული პირი, როგორც კიდეცა ეხედავთ, ემორჩილება ყველა გარეგანი პირის აზრს და დარიგებას და მომეტებულათ თავის ახლო ჩინოვნიკების რჩევაზედ მიდის. იმან იცის, რომ იმათ უფრო იციან, რა საქმეს რა ნაირი მიმართულება უნდა მიეცეს, და იმიტომ ყველას მათ თანხმად აკეთებს.

ამ თავის ამორჩევას ხმოვანთ უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება. ოღონდ იყოს კაცი პატოსანი, ქალაქის საჭიროებისა და ყველა საქმის ამის შესახებ საფუძვლიანათ მცოდნე, საზოგადო საქმის ერთგული და მოსიყვარულე, კაი მიმართულებისა, ოღონდ ამ მოთხოვნილებას მიუახლოვდებოდეს,—ვინც უნდა იყოს,—თუნდა ოვსი, თუნდა ჩერქეზი, თუნდა სომეხი. . .

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელიც ხდის უნაყოფოთ ყველა ახალ შემოღებას ხალხის ცხოვრების ყველა მხრის გასაუმჯობესად, ვფიქრობ, არის ამ ახალი შემოღების უცოდნელობა იმათგან, ვასაც ის შეეხება. თუ ქალაქს მიენიჭება რამე მისთვის საკეთილდღეო და სასარგებლო, რომელიც თითონ ქალაქმა უნდა შეასრულოს რამდენათმე, ეს მან კიდეც უნდა იცოდეს. მე ამით არ ვითხოვ, რომ პირველსავე შემოღებაში რამე წყობილებისა ყველა ქალაქის მცხოვრებმა გაიკვეთოს მუხლ-მუხლად და დაწერილებით;—ეს შეუძლებელი იქნება; ჩემი აზრი არის: სასარგებლო და საჭიროც არის, რომ ეს ახალი წყობილებანი იყვნენ ცალკე ბროშურათ გამოსულნი, ხალხის გასაგონ ენაზედ დაწერილნი და ასრე ხალხში გავრცელებულნი. ეს ვალდებულება ადვევს უფრო ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემაებს და ჩვენ მხარეში ჩვენ ადგილობრივ გამოცემაებს. ძლიერ სასარგებლო იქნებოდა, რომ რომელიმე წესდებულების შემოღების დროს, ან ამის წინ, რომელიმე მხარეში, იქაური გამოცემაები თავის გვერდებზე დაბეჭდავდნენ ამ წესდებულებას და შემდეგ გაუშვებდნენ ცალკე ბროშურებათ. ერთი მაინც ამათგანი საშუალება უნდა იყოს, რომ ხალხმა გაიგოს.—

ჩვენში ეს ახალი დებულებანი უნდა გადმოიღებოდნენ ქართულ და სომხურ ენებზედ და ამ გვარათ გავრცელდებოდნენ ხალხში. ჩვენ ქალაქებში, და თვით მოზდოკშიაც, ეს ორი ხალხი რიცხვით ბევრია; მომეტებულმა ამათ ნაწილმა არამც თუ არ იცის რუსული ისე, რომ გაიგოს წესდებულებანი, როდესაც მას წაუკითხავენ, ან თავის წაკითხვით, ის ვაი-ვაგლახით ლაპარაკობს და სრულებითაც არ იცის. როგორც მახსოვს, მგონია „თბილ. მოამბეში“ იბეჭდებოდა ახალი დებულება ქალაქისა, მაგრამ, პირველათ, ეს საკმარი არ არის,—გაზეთში დაიბეჭდება და გაზეთსთანვე დაიხევა; საჭიროა ცალკე გამოშვება; მეორეთ, როგორც ნათქვამია ჩვენ ქალაქებისთვის და ჩვენი მხარესთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ადგილობრივ ენებზედ, რაც უნდა აასრულონ გაზეთებმა. ეს შემთხვევა, ვიმედოვნებ, მიაქცევს თავის თავზედ ყურადღებას ჩვენი ხალხის საკეთილდღეო მზრუნველების მხრით, და ეს ცოტათ მაინც შეეწევა, რომ ხმოვანნი უხმოვნოთ არ გადაიქცნენ...

რუსეთი

აგერ ოთხი თვე იქნება, რაც მოსკოვში შემდგარა საზოგადოება, რომელსაც სურს შემწეობა გაჭირვებული ბოსნიელების და გერცოგოვინელების ოჯახებსს. ახლა, როგორც იწერება რუსული გაზეთი „ხმა“, ამ საზოგადოებას შეუკრებია თითქმის სამოცდა თხუთმეტ ათას მანეთამდე, რომელთაგან სამოცდა ათი ათასი მანეთი გაუგზავნიათ სადაც საჭირო იყო.

* * *

წარსული წლის განმავლობაში მრავალი ისეთი საქმეების გარდაწყვეტაში დარწმუნდა საზოგადოება და მმართებლობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება სახელმწიფოსათვის. მაგალითად რუსეთის სოფლებში ძალიან გახშირებული არიან სამიკიტნოები, სადაც იყიდება სასმელი; ამის გამო ხალხი თან-და-თან ეჩვევა მთვრალობას და ღარიბდება. წარსული წლის განმავლობაში ყველანი დარწმუნდნენ, რომ რიცხვი ამ სამიკიტნოებისა უნდა შემცირდეს.

ამ საქმის გარდაწყვეტაზე არის დამოკიდებული ხალხში სიმთვრალის შემცირებაო, ამბობს გაზეთი „ქვირა“.

* * *

შარშან ყოველგან დიდი ზარალი მიეცათ სხვა და სხვა მოულოდნელი შემთხვევებისა გამო კერძო ბანკებს რუსეთში. ამის შემდეგ ყველანი დარწმუნდნენ, რომ ბანკების წესდება უნდა შეიცვალოს, რომ მერმისათვის მაინც ეს უბედურება აიცილონ თავიდამ.

* * *

რუსეთის საზოგადოება დიდი ხანია დარწმუნდა, რომ რუსეთში ადვოკატობას არა აქვს ისეთი მიმართულება და ხასიათი, რომელიც მას შეჰფერის და აქვს ამ წოდებას განათლებულ ქვეყნებში. ამისათვის უკეთესი წარმომდგენელნი ამ საქმესა ცდილობენ მისცენ ნამდვილი ხასიათი ადვოკატების წოდებას.

* * *

რადგანაც უკანასკნელ დროში ძალიან გამრავლდა ცრუ-მოწმობა ცოლ-ქმარის ერთმანეთს მოშორებისათვის, მმართებლობა აპირებსო კომისიის დანიშნვას, რომელმანც უნდა გარდაათვალიეროს ის კანონები, რომელნიც დღემდინ არსებობენ ამ საქმის შესახებ და მოიძიოს ღონის-ძიება, რომ ცოლ-ქმარს ერთმანეთთან მოშორება გაუადვილოს.

* * *

აგრეთვე აპირებენ კომისიის დანიშვას, რომელმაც უნდა გამოიძიოს უწესობა მონასტრებში ბერებთა შორის, რომელზედაც ასე ხშირად ისმოდა საჩივარი წარსული წლის განმავლობაში.

***

ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ შარშანდელისოდენა მეცნიერები და ლიტერატორები არასოდეს არ მომკდარა ჩვენს სახელმწიფოშიო.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. ერთს პარიჟულ ჟურნალში („Journal des Debats“) ვკითხულობთ შემდეგ შესანიშნავ ცნობებს:

„მაშინათვე როგორც-კი რუსეთი და ბერმანია დათანხმდა იმ პროექტზედ, რომელიც ავსტრიის კაბინეტმა გამოიმუშავა და რომელიც შეეხებოდა ოსმალეთის რეფორმას, ანდრაში შეუდგა ცირკულიარის წერას; ამ ცირკულიარით უნდა გაეცნო მას ეს პროექტი საფრანგეთის, ინგლისის და იტალიისათვის და ეთხოვა მათთვის თანხმობა და შემწეობა ხვანთქრის წინ. რადგანაც ანდრაშის სამი ჩრდილოეთის სახელმწიფოების მხრით უნდა ელაპარაკნა, ის იძულებული იყო ჯერ ეს ცირკულიარი რუსეთისა და ბერმანიისათვის წარედგინოს მათი თანხმობის მისაღებათ. პეტერბურღიდგან 31 დეკემბერს მოვიდა თანხმობის ამბავი; ბერლინის კაბინეტის თანხმობა წინ და წინ არის გადაწყვეტილი ყოველი აღმოსავლეთის საქმეში, სადაც რამე გადაწყვეტილებას მიიღებენ ერთად პეტერბურღს და ვენის კაბინეტები.

„31 დეკემბერს სალამოს ცირკულიარი და თითონ პროექტიც გაგზავნა პარიჟში, ლონდონში და რომში; მეორე დღეს, ახალ-წელიწადს, როცა ანდრაშიმ მიიღო, ვოგუე (Vogüé), ანდრე ბუკანანი (Andrew Buchanan), და ლენერალი რობილანი (Rubilant), მათ კიდევაც შეატყობინა ეს ამბავი.

„2 იანვარს დილით მოვიდა პარიჟში ეს ცირკულიარი; იმ დღესვე სალამოს გრაფმა აპპონინმა წარუდგინა ის უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრს. იმ დღესვე ბეისტმა (Beust) წარუდგინა ლორდს დერბის (Derbu) და ამავე დროსვე ეს ცირკულიარი უნდა გადასულიყოს ვისკონტი ვენოსტას ხელში.

„მაგრამ თითონ შინაარსი ამ ცირკულიარის და ამ პროექტის კიდევ დიდ ხანს დარჩება დაფარული, თუ რამე განსაკუთრებითი შემთხვევით არ გამხილდა. ბრაფ. ანდრაშიმ, რომელმაც ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ რაიმე გზით არ გამჟღავნებულიყოს ეს პროექტი, კონფიდენციალურათა ითხოვა ლონდონში, ვერსალში და რომში, რომ იქაც რაც შეიძლება მეტად საიდუმლოთ შეენახათ, სანამ თითონ კონსტანტინოპოლში არ იქნებოდა ხვანთქართან წარდგენილი.

ამ ნაირს მოქმედებაში მინისტრის მხრით არაფერი არ არის გასაკვირველი. ეს არც ჟინიანობასა ნიშნავს მინისტრისას, არც სურვილს, რომ მეტის-მეტი იდუმალობით გააკვირვოს უბრალო ხალხი; არა, დიპლომატიური დარბაისლობა, თითონ საქმის თვისება და ის აზრი, რომლის ასრულებაცა სურსთ, მას მოვალეთა ხდის რაც შეიძლება საიდუმლოდ შეინახოს ეს საქმე. ვენის კაბინეტს სურს მეგობრულის რჩევით და მშვიდობიანათ შამოაღებიოს ოსმალეთს ის რეფორმები, რომელნიც მას ააცილებენ მომავალში სხვა ახალ არეულობებს. მაშასადამე მას დიდი ინტერესი აქვს, რომ დაითანხმოს ხვანთქარი და ამ აზრით მან რაც შეიძლება მორიდებით უნდა მოქცეს მის ღირსებას, მის კანონიერ ეჭვიანობას და არ ააღელვოს მისი თავისუფალი ხელმწიფური გრძნობა.

„ხვანთქარმა რომ დაინახოს, რომ მისთვის დანიშნული თხოვნები და რჩევები უმალ გაზეთებში გამოაცხადეს, ვინემ მასვე მოეხსენებოდა, იმას საფუძვლიანი მიზეზი ექმნება იწყინოს ეს და ამ წყენას მეტად ცუდი განვლენა ექმნება მის გადაწყვეტილებაზედ. მისაც მოუთმენელად სურს გაგება და მოსდის გული რომ ვერც ერთი სიტყვა ვერ გაუგია იმ პროექტიდგან, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ ამ ორი თვის განმავლობაში იმან უნდა იცოდეს, რომ ამ ნაირი განმხილება ვენის კაბინეტის მხრით გამოაჩენდა მის ხერხის უცოდინარობას და ხვანთქრის დაუფასებლობას; სხვა გზით რომ ეს საქმე გამჟღავნდეს ყველასათვის მეტად სამწუხარო იქმნება.“

„ჩვენც იმ მდგომარეობაში ვართ როგორც ყველანი; ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლიან გავიგოთ დაწერილებით გრაფ ანდრაშის პროექტი; ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი საზოგადო აზრი და მიმართულება გვაქვს გაგებული ამ პროექტის. ამის განცხადებას სრულებით არ ეთქმის გამხელა, რადგანაც თითქმის იგივე იყო წარმოთქმული სხვა და სხვა მოსაზრებით სხვა და სხვა ევროპის გაზეთებში ამ რამოდენიმე დღის განძავლობაში; მაგრამ, ეს მაინც არის, რომ ჩვენგან შეტყობილი ამბები უფრო სარწმუნო წყაროდგან არის მიღებული. ამ რიგათ ჯერ ეს გვითხრეს, რომ უკანასკნელ ხვანთქრის ფირმანს მით არ ეთანხმება ეს პროექტი, რომ პირველი მთელ ოსმალეთს შეეხება და მეორეს კი უფრო პატარა ადგილი აქვს სახეში; პროექტი მარტო ბოსნიას და ბერცოგოვინას შეეხება.

„ვენის კაბინეტი არა ფიქრობს რომ მოსთხოვოს ოსმალეთს თავის მართებლობის გამოცვლა, არც რომ მან გამოსცვალოს მთლად მთელი იმპერიის წყობილება; ეს ხომ სხვის საქმეში გარევა იქმნებოდა და პირდა-პირ შეეხებოდა პორტის ხელმწიფური თავისუფლების შევიწროებას. ვენის კაბინეტი სულ სხვა გზას ადგია და თავის თხოვნას ამყარებს იმ პრინციპზედ, რომელიც ხალხთა შორის დამოკიდებულების უმთავრეს საფუძველს შეადგენს, რომელიც, თუ მკითხველს არ დავიწყნია, განრკვევით იყო ნაჩვენები ვენგრიის დელეგატების მოხსენებაში. ამ პრინციპით ყოველ სახელმწიფოს აქვს ნება მოსთხოვოს თავის მეზობელს, რომ მან არ აამღვრიოს მისი მდგომარეობა; თუ მოხდა ესეთი აღრეულობა, მოსპოს მათი მიზეზი და საჭიროებისა-მებრ თითონაც დაეხმაროს ამ აღრეულობის მოსპობას. როცა ჩემი მეზობლის სახლს ცეცხლი გაუჩნდება, ჩემი უფლება არის და მოვალეობაც მას მოვეხმარო ამ ცეცხლის გასაქრობლად, რომ იქიდგან ჩემ სახლსაც არ გაუჩნდეს ცეცხლი.

„ავსტრიას მარტო ოსმალეთის მოსამზღვრე პროვინციების დამშვიდება აქვს სახეში; ამ ადგილებში, რომ გაგრძელდეს აღრეულება შეიძლება თითონ ავსტრიის პროვინციებშიდაც გადვიდეს; ამიტომაც მისი მეცადინეობა მარტო ამ ადგილების დამშვიდებას შეეხება.

„მეორეთ ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ვენის კაბინეტის მოთხოვნილება თანხმად პეტერბურგისა და ბერლინისა, ძრიელ მცირე არის; ის არსაით არ შეეხება ეხლანდელ ოსმალეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, პორტას თავისუფალი ხელმწიფურ უფლებაებს. დიდი ხანია ჩვენი ვენის კორესპონდენტი გვატყობინებდა, რომ ავსტრია ბოსნიისა და ბერცოგოვინის დამშვიდების თაობაზე არ აღძრავს პოლიტიკურ კითხვებს, არ მოითხოვს ახალი სამთავროების დაფუძნებას და მით ოსმალეთის დარღვევას. ის ყოველთვის გვიმეორებდა, რომ ვენის კაბინეტის აზრით ამ პროვინციებში მარტო ადმინისტრატიული, სოციალური და განსაკუთრებით საადგილ-მამულო კითხვები უნდა განირჩეს. მართლადაც ანდრაშის ნათხოვნი რეფორმებ მხოლოდ ადმინისტრაციული და ადგილობრივი ხასიათი აქვს; შეეხება გადასახადს და მის მოკრეფას, კანონიერი წესების შამოღებას მუშებსა და ადგილის პატრონებს შუა, სოფლის საზოგადოების ავტონომიას, და ადგილობრივ პოლიციას.

„შემდეგ გვარწმუნებენ, რომ ეს რეფორმები ძრიელ პრაქტიკული არიანო, პირ-და-პირ ამ პროვინციების მოთხოვნილების თანხმად არის გამომუშავებული და თითონ ამ გამომუშავებაში სჩანს დიდი და ნამდვილი შესწავლა ამ მხარეების და მათი საჭიროების.

„რამდენადაც 14 დეკემბრის ფირმანი განუსაზღვრელია; საზოგადოთ ლაპარაკობს თავის საგანზე და არ აცხადებს განრკვევით თავის აზრს, იმდენად ანდრაშის პროექტი განსაზღვრულია, ცხადად და გადაწყვეტილად ხატავს თავის აზრს. ის მარტო თავის სურვილს არ აცხადებს, იმასაც აჩვენებს რა გზით და რა საშვალებით შეიძლება ეს რეფორმები ასრულებაში მოიყვანონ. ეს პროექტი იმ გამოძიებაზედ და გამოკვლევაზედ არის დამოკიდებული, რომელნიც თითონ კონსულებს მოუხდენიათ ადგილობრივ; ეს რღმა შესწავლის და ხანგრძლივი მუშაობის ნამყოფია. ამიტომაც გვეუბნებიან, რომ ამ პროექტის დაწერილებით გამოცხადება დიდად საინტერესო არ იქმნებაო; უბრალო ხალხს დიდად არ ასიამოვნებს ამ წერიმალი ამბის გაგება და უფრო მეტად ცნობის მოყვარე პირთ, რომელთაც უფრო ასაღელვებელი და გასაცოცხლებელი ამბების გაგება უყვართ, მათ ეს ვერ დაკმაყოფილებთ. მის დასაფასებლად საჭირო არის, რომ იცნობდეს კაცი იმ მხარის შინაურ მდგომარეობას, რომელსაც ის შეეხება.

„და ბოლოს ამასაც გვეუბნებიან, რომ ეს პროექტი თუმცა მთლად არ ეთანხმება 14 დეკემბრის ფირმანს, მაგრამ მისი წინააღმდეგი მაინც არ არის, და არამც თუ წინააღმდეგი, გვეუბნებიან, რომ ფირმანის დამატებათ ჩაითვლებაო: მთელ ადგილებს ხსნის, ნაკლულევანებას ავსებს, მის ტეორეტიკულ წინადადებაებს უფრო პრაქტიკულად და აღსრულებისათვის შესაძლებლადა ხდის.

„ამ ნაირად, გრაფი ანდრაშის რეფორმის პროექტი იმდენათ ზომიერი მოთხოვნილების არის, იმდენად პრაქტიკული ხასიათი აქვს, ისე მორიდებით და პატივისცემით ეპყრობა ხვანთქარს, რომ ღირსი არის დასავლეთის სახელმწიფოებმა და იტალიამ მიიღონ მისი მხარე. ამიტომაც, რამდენითაც ჩვენ გვგონია, რომ გავიგეთ, ჩვენმა უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრმა ძრიელ კარგათ მიიღო ეს პროექტი.

„ცირკულიარმა დიდი განვლენა იქონია ჩვენს მინისტრზედ; ამ სამი ხელმწიფისაგან წარდგენილი პროექტი დაინახა ძრიელ ადვილად მისაღებად ოსმალეთისათვის; ამის გამო დაინახა მან, რომ საფრანგეთს უმიზეზოთ შეუძლია ამ პროექტზედ დათანხმება და მისი დაცვა ხვანთქრის წინ; ვითომ რომ მას ბევრიც არ დაეგვიანებიოს ამ აზრის შეტყობინება ავსტრიას წარმომადგენელისათვის პარიჟში. ეხლა, უეჭველია, ვენის კაბინეტს კიდევაც ეცოდინება ეს ამბავი და უსათუოთ პეტერბურღის კაბინეტსაც; ნამდვილი არის, რომ ეს ორი კაბინეტი ძრიელ კმაყოფილი დარჩებიან საფრანგეთის მმართებლობაზედ ამ ნაირი მსწრაფლისა და დაუფარავის დახმარებისათვის. ამას გარდა, თუ მართალი გვითხრეს, სამს იანვარს დეკაზს მიუწერია გრაფის დერბისათვის თავის შთაბეჭდილება და მასთან უთხოვნია რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ერთათ მოილაპარაკონ და ერთნაირი შემწეობა მისცენ ავსტრიის პროექტის აღსრულებას. იმავე დროსვე მას გაუგზავნია იმ აზრისვე დეპეშა რომში. ეჭვი არა აქვსთ იტალიის თანხმობაში და ამბობენ კიდევაც, რომ მან ოფიციალურად შეატყობიათ მათ თავის თანხმობაო.

„რაც შეეხება ინგლისს, იმედია, რომ ის არ ისურვებს მარტოკა დარჩენას, საფრანგეთთან ჩამოცილებას და მით ოსმალეთის გამაგრებას უთანხმოების დროს.

„ვენის კაბინეტს, რომელსაც სამი უდიდესი ჩრდილოეთი სახელმწიფოების მხრით ლაპარაკობს, არა სურს, რომ ეს პროექტი ყველას ხელ-მოწერილი წარედგინოს ხვანთქარს; აქ მხოლოდ თანხმობა, ერთნაირი მოქმედება არის საჭირო; თითოეული სახელმწიფო ცალკე წარუდგენს თავის აზრს და ცალკე ურჩევს ავსტრიის პროექტის მიღებას. თუ ეს მართალია, და ყველაფერი გვარწმუნებს რომ მართალია, რომ ამ ხელმწიფეებს შუა თანხმობა არის, როგორ უნდა მოიქცეს მაშინ ოსმალეთი? ზოგიერთი ხმა არის—ეს ხმა უფრო იტალიელ გაზეთებში ვრცელდება—რომ ხვანთქარს წმინდათ უარის თქმა უნდა ამ პროექტზედ; პასუხათ ის აქვს, რომ რაც საჭირო რეფორმა იყო კიდევაც გამოაცხადა მისი მიღება. ჩვენ არა გვსურს, რომ ეს ხმა დავიჯეროთ.

„რა საფუძველი ექმნება ხვანთქარს უარი სთქვას ამ ნაირ ზომიერს და მისი ღირსებისათვის ხათრიან თხოვნაზედ? მისი იმედი ექმნება წინააღმდეგობის დროს?

„ეს უარი მეტად საშიშო იქმნება თითონ მისთვისა და მთელი ევროპისათვისაც. ავსტრიამ და რუსეთმა, ამ უარის პასუხად, რომ თავი დაანებოს ოსმალეთს, მაშინ აუცილებლად, ამ გაზაფხულისათვის ოსმალეთს მოელის საშინელი ამბოხება და საერთო არეულობა თავის სახელმწიფოშიეე და ვინ იცის ამნაირ შემთხვევას რა შემდეგი ექმნება ოსმალეთისათვის.“

ნარევი

ლიდს ბრიტანიაში კიდევ დარჩენილია ზოგიერთი ისეთი ჩვეულება, რომლის ახსნა ძრიელ ძნელია; მაგალითად შოტლანდიაში ერთს მდიდარს მემამულეს აქვს იჯარით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღებული ხაზინისაგან ერთი დიდი ტუე, რომლისთვისაც იმას მართებს ბეგარათ წლის განმავლობაში ერთი დიდი თოელის გუნდი, რომელიც კოროლის სასახლეს უნდა წარუდგინოს. Ამ ბეგარის გარდახდა სრულებით არ ეძნელება თურმე ამ კაცს, რადგან იმის მამულის მთებში ყოველთვის იშოვება.

*
* *

Პატარა ქალაქის Ზ. მღვდლებსა და ამ ქალაქთანვე მდებიარე სოფლის მღვდლის შუა კარგა ხანია რაღაც უკმაყოფილება და შური ყოფილა. Სოფლის მღვდელი მოუთმენელათ მოელოდა იმ დროს, როდესაც ის შეიძლებდა რითიმე ქალაქის მღვდლების წყენინებას.

Ეს დღეც ამ მიმავალი წლის ნათლის-ღება დღე ყოფილა. Როდესაც ქალაქის ეპისკოპოსი თავისი მრევლით წაბრძანდა წყლის საკურთხეველათ, იხელთა დრო სოფლის მღვდელმა, აიღო ჯვარი, აიაზმის წყალი, გაიყოლა წინ დიაკვანი და დაეშურა ქალაქისაკენ სახლების საკურთხეველათ, როგორც ჩვეულებათ აქვთ ამ დღეს მღვდლებსა.

Მოჰყვა ქალაქის თავიდამ და ერთი სახლი არ დაუტოვებია უკურთხად; ამ დროს ეპისკოპოსმაც გათავა წყლის კურთხევა და მისმა მრევლმა ნაწილ-ნაწილათ დაიყვეს ქალაქის მცხოვრებლების სადგომის კურთხევა. Ერთისას მივიდნენ-უთხრეს: ჩვენსას ესა და ეს მღვდელი იყო და სახლი მიკურთხ, კიდეცაო; ესეე მეორესას და მესამესას უთხრეს.

Გაბრაზდნენ მღვდლები: ჩვენს სამრევლოში როგორ გაბედა სოფლის მღვდელმა შემოსვლაო? და შეუდგნენ მის ძებნას: სადაც იქნება წავატყდებითო.

Შემოპარული მღვდელი ამ დროს ქალაქის ბოლოში იყო, თურმე ერთი სახლი კიდევ დარჩენოდა უკურთხი. Ზედ ამ სახლზე ქალაქის მღვლებმა მიასწრეს.

— Მამა ს—ს ვახლავართო! Მიაძახეს ქალაქელებმა.

— შეგეწიოსთ დღევანდელი წირვის მადლი! Რატომ აგრე დაგიგვიანებიათ წყლის კურთხევა?

— Მიტომაც ისარგებლე განა და ჩვენს სამრევლოში შემოიპარე სახლების საკურთხეველათ?

— Შემოვიპარე რა? Შემოპარვა რა თქვენი საკადრისია ამ ნათელს-დღეს! Შემოვიპარე კი არა, ქალაქში ჩემი სამრევლოდამ ბევრი გადმოსულან დღეის დღისათვის და იმათ სადგომი ვასხურე წმინდა წყალით.

Მღვდლებმა მეტი ლაპარაკი ვეღარ მოისმინეს. Სტაცეს ხელი ს—ს, ორიოდე ფერდებშიდაც უთავაზეს თურმე იმას და მის დიაკვანს და გაუშვეს თავის სამრევლოსაკენ. Მამა ს—ს თურმე ერთიც არ მოუხედნია უკან. Შეშინებულმა, რომ, გალახვის გარდა, ჯიბიდამ დღეს ნაშოვნი ფული არ ამომართონო, მოქუსლა....

განცხადებანი

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

Მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. Აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. Ლოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

Რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

Ყოველ დღე დილის 8 სათიდამ $9\frac{1}{2}$-მდი დოქტორი Არტემიევი და $9\frac{1}{2}$-დამ 11-მდი დოქტორი Ანანოვი.

Ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი Ალბანუსი და ქაპელერი.

Ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, Ალბანუსისა, Ანანოვისა და Არტემიევისა.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Კანს ეკერება და არა სჩანს.

Შ. Ф а и — გ ა მ ო მ გ ო ნ ი.

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმაროს.

9, Rue de la Paix, Paris

156—7

ხვალ, ხუთშაბათს, 29 იანვარს
მუზიკალური საზოგადოების ზალაში იქნება
სალიტერატურო და სამუზიკო

საღამო

Მონაწილეობას მიიღებენ: Ილ. Ჭავჭავაძე. Აკაკი წერეთელი, Დ. Ერისთავი, Თ. Ბებურიშვილი, პეტ. შმიკაშვილი, Არ. ძუთათელაძე და ნ. Ახვლედიანი.

Ბილეთები Ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება და წარმოდგენის დღეს თვითონ მუზიკალური საზოგადოების სახლში.

საუკეთესო საშუალება

Თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რ ი ს ზ უ ტ მ ა ნ ი, ქ ი მ ი კ ო ს ი პ ე შ ტ ი ტ ა მ,

Იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

Პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

Გ ა მ ო მ გ ო ნ ი პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ს
ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

Პრეის-ქურანტი:

Წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. Კედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. Დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

Უმთავრესი დეპოზარის თ ფ ი ლ ი ს ში, Დეორაროვის ქუჩაზე, Არწრუნის ქარვასლაში, Ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ში, სეგალთან, Ალექსანდროვსკის პროსპექტზე, Ლებედევის სახლში; ს ტ ა ვ რ ო პ ოლში — Ქურილჩენკოსთან.

Ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ.

Აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—3

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
Გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
Უვირილა .	—	—			5	81	3	23
ძუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
Ფოთი . .	8	40						
Ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ძუთაისი .	11	51			3	4	1	69
Უვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
Გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
Თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) Ფოთიდამ:

Ოდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე.
სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

Ფოთს — ოთხშაბათს, დილით.
Ოდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

Ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ძუთაისს, Ფოთს . .	1	—
Გორს, Დუშეთს, სიღნახს		50
Როსტოვს Ოდესას Მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, Ვარშავას . .	2	—
Ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) Თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

Სამზღვარ გარეთ, ძუთაისს, Რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., Ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. Ახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ძ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

Თფილისისა და Ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ზ ო რ ი დ ა მ.

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) Ფ ო თ ი დ ა მ:

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
Ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 24 იანვ.		
Ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	-
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი (პირველისესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
Ბირაოს ფურცლები:		
Თფილ. საზნ. ბანკისა.	94	—
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	75
Აქ ც ი ე ბ ი:		
Ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
Ფოთი-Თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
Კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
Თფილისი, 27 იანვ.		
Პური შორაგალის ფთ.	—	90
ქერი ფუთი. . . .	—	55
ბამბა Ერევნისა, ფუთი .	5	40
— Ამერიკისა, ფუთი. .	6	30
Გაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
Მატყლი თუშური ფთ .	7	50
— Თარაქამისა ფთ. .	7	50
Აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	63
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
Ყავა გრგვალი ფუთი .	19	25
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
Ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	6	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Января 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.